ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 112 (19554) ◆ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 16 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲕᲘᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲔᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

ᲛᲝᲔᲓᲐᲐᲖᲠᲘ იმ გადაწყვეტილებებისა, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობამ მიიღო, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ყოველმხრივი გაუმჯობესებაა. სწორედ პარტიის ამ უზენაესი მიზნის მისაღწევად შემუშავდა ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და, კერძოდ, მრეწველობის თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანასთან „დაკავშირებული გრანდიოზული პროგრამა. ამ პროგრამის დიდი შემადგენელი ნაწილია გარდაქმნის შეტანა წარმოების ინტენსიფიკაციაში იმ საფუძველზე, რომ ფართოდ გამოიყენონთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მოვახდინოთ პროგრესული ძვრები წარმოების სტრუქტურასა და ორგანიზაციაში, განვამტკიცოთ შრომის, ტექნოლოგიური და სახელმწიფო დისციპლინა.

ამ პროგრამიდან გამომდინარეობს მეთორმეტე ხუთწლედში ნაკლებფუძტანი მოწყობილობის პროგრესული, დიდმწარმოებლური მოწყობილობით სწრაფი შეცვლის, ძირითადი საწარმოო ფონდების საყოველთაო ინვენტარიზაციის, მათი აქტიური ნაწილის მესამედითა და მეტად განახლების აუცილებლობა.

სსრ კავშირის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში მითითებულია, რომ უნდა დავსახოთ და განვახორციელოთ ყოველ დარგში თანამედროვე ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის საფუძველზე წარმოების ტექნიკური განვითარებისა და განახლების კომპლექსური პროგრამები. შევიმუშაოთ და განვახორციელოთ გადერთიანებებსა და საწარმოებში ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის გეგმები. გავაძლიეროთ წარმოების განვითარების ფონდების როლი გაერთიანებათა და საწარმოთა ტექნიკურ განახლებაში, უზრუნველვყოთ აღნიშნული ფონდების სახსრების უპირველესი მოხმარება ამ მიზნებისათვის. უფრო ინტენსიურად უნდა გამოიყენოთ შექმნილი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, ვიღვაწოთ მოწყობილობის მაქსიმალური დატვირთვისათვის, არსებითად გავზარდოთ მისი მუშაობის ცვლიანობა.

ყველაფერი ეს საჭიროა წინსვლის უმთავრესი მაჩვენებლის — შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდისათვის. მეთორმეტე ხუთწლედში იგი სახალხო მეურნეობაში მთლიანად 20-23 პროცენტით, მათ შორის მრეწველობაში — 23-25 პროცენტით გადიდდება. მხოლოდ ამის ზრდის სარჯზე უნდა მივაღწიოთ მრეწველების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების, აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტზე ტვირთბრუნვისა და მშენებლობის სამუშაოების მოცულობის მთელ მატებას, უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების უპირატესი ზრდა მისი ანაზღაურების გადიდებასთან შედარებით.

დიახ, პარტიის მიერ დასახული უდიდესი ამოცანის გადაწყვეტისათვის — შრომის ნაყოფიერების უმაღლესი მსოფლიო დონის მიღწევისათვის — უკვე მეთორმეტე ხუთწლედში უნდა გაკეთდეს ძალიან ბევრი. სხვანაირად შეუძლებელია პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის — სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება.

მ. ს. გორბაჩოვმა ტოლიატის მშრომელებთან შეხვედრისას თავის სიტყვაში აღნიშნა: „იმისათვის, რომ ხაზი გაუსვა ცვლილებათა მასშტაბურობას, რომლებიც დაკავშირებულია ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებასთან, ერთხელ კიდევ მინდა ვთქვა, რომ მომავალი 15 წლის განმავლობაში ჩვენ იმდენი უნდა გავაკეთოთ, რამდენიც გაკეთდა საბჭოთა ხელისუფლების თითქმის 70 წლის მანძილზე. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გზებზე უნდა გავაორკეცოთ საწარმოო პოტენციალი, 2,3-2,5-ჯერ გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, რათა ამის საფუძველზე ახალ დონეზე ავიყვანოთ ხალხის კეთილდღეობა, და ამას მოვახმაროთ ერთიორად მეტი რესურსები, ვიდრე ახლა ვახმართ“.

ასეთი შედეგის მიღწევა ადვილი არ არის და ვინც ახლავე — წლეულს, გაისად, მეთორმეტე ხუთწლედის ყველა წლებში არ იზრუნებს შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, შემდგომ ათწლეულში ვეღარაფერს გახდება.

საერთოდ, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკამ, კერძოდ, მრეწველობამ, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის გამიზნული მოქმედებით მეთორმეტე ხუთწლედში გარკვეული გამოცდილება შეიძინა, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა ამ პერიოდში 119,2 პროცენტი შეადგინე და ეს სჭარბობს გეგმით ვათვალისწინებულს. ეს ეთანხმება გეგმაში ჩადებულ ამოცანებს. ასევე, ეს ეხმიანება ეკონომიკურ-სოციალური განვითარების ეროვნულ გეგმაში ჩადებულ ამოცანებს.

პარტიული ცხოვრება:

დელეგატი ფიქრობს, მოითხოვს

ჩვენი რესპუბლიკიდან სკკპ XXVII ყრილობაზე წარგზავნილთა შორის იყო საწარმოო გაერთიანება „ქიმშოჭკოს“ წარჩინებული მძახალი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი ნინო ბეჟოვანი. „კომუნისტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა ამ სახელოვან მშრომელ ქალს.

— რას შეგიძლიათ განსაკუთრებით გაუსვათ ხაზი ყრილობის მიმდინარეობიდან?

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ყრილობის დახურვისას წარმოთქმულ სიტყვაში თქვა: „ყრილობამ ჩაიარა ატმოსფეროში, რომელსაც ახასიათებდა პრინციპულობა და ერთიანობა, მომთხოვნლობა და ბოლშევიკური სიმართლე, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების დაუფარავი გამოშეღვენება, ჩვენი საზოგადოების განვითარების საშინაო და საგარეო პირობების ღრმა ანალიზი. მან ნაღალი ზნეობრივი, სულიერი ტონი მისცა პარტიის საქმიანობას, მთელი ქვეყნის ცხოვრებას“.

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო აგვაღელვა ‘ისედაც აღფრთოვანებული ფილეგატები. მაშინ მთელი ძალით შევიგრძენით, რომ საბჭოთა ადამიანები თავისი ქვეყნისა და ბედის ნამდვილი ბატონ-პატრონები ვართ. ყრილობა ამავე დროს ხალხთა დიადი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა. ვხედავთ, რომ წარმომადგენლებს პლანეტის თითქმის ყველა ქვეყნიდან, საბჭოთის ყველა კუთხიდან, კოლეგები ერთმანეთს ვუზიარებდით გამოცდილებას, ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა. იგი ვერ მოქმედებდა როგორც ნამდვილი პოლიტიკური ორგანო, რასაც მოჰყვა ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის, ცალკეული კომუნისტების პასიურობა, მათი როლის დაკნინება, შეცდომები კადრების შერჩევაში, შრომის დისციპლინისა და ორგანიზაციის ნოშლა, საბოლოო ანგარიშით კი — ჩამორჩენა, დაგეგმილი ტემპების შემცირება.

ამის თაობაზე უფრო კონკრეტულად ჩვენი გაერთიანების პარტიული კომიტეტის მუშაობის მაგალითით გეტყვით: 600 კომუნისტი შრომობს საამქროებში. უბნებში, ცვლებში, სადაც წყდება პროდუქციის განოშვების ბედი. ეს საკმაოდ დიდი ძალაა, მთელი არმიაა, რომელთაც, როგორც იტყვიან, შეუძლიათ მთელიც კი შეძრან, თუ მათ აქტიურობას სწორად წარვმართავთ. აი, სწორედ ეს მთავარი, მსეფის დარაზმვის უნარი აკლდა გაერთიანებისა და პარტიული კომიტეტის ძველ ხელმძღვანელებს, ისინი საამქროთა პარტიული ორგანიზაციების, პარტჯგუფების ინიციატივასა და თვითმოქმედებას ვერ წარმართავდნენ კომუნისტები ავანგარდული როლის ასამაღლებლად, მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად. ვერ აწორკიელებდნენ ოპერატიულ ღონისძიებებს სიძნელეებიდან თავის დასაწევად. მარტო ჩამორჩენილი საწარმოო უბნების ხელმძღვანელთა ცვლამ, რაც მეტად ხშირი იყო, საქმეს ვერ უშველა. მაგალითად, ქიმიურ-სართავი საამქროს ხელმძღვანელობა ორ წელიწადში სამჯერ შეიცვალა. ვერ გამოინახა კაცი, რომელიც საქმეს თავს მოაბამდა. ხელმძღვანელი კადრებს, მათ შორის კომუნისტების უნიათობას და გულგრილობას თან სდევდა ავარიები, ხანძრები, რამაც გაციცებით ცუდ დღეში ჩააგდო საამქრო. გაერთიანების ხელმძღვანელობა იქამდეც კი მივიდა, რომ ერთ დროს საამქროს კვლავ ჩაუყენა სათავეში კომუნისტი გოგოლაძე, რომელიც ადრე განთავისუფლებული იყო ამ თანამდებობიდან უგერგილობისა

ჩვენი გაერთიანების მეთაური საწარმო შედარებით ახალგაზრდაა და რამდენი შეცდომაა დაშვებული მის დაპროექტებასა და მშენებლობაში, რაზეც თავის დროზე არავის უფიქრია. ამჟამად მხოლოდ ჩვენ ვიმკით ამ შეცდომის სავალო შედეგს. აბა, წარმოიდგინეთ! ქარხანას, სადაც ათასობით კაცი მუშაობს, არ გააჩნია კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშულების რაიმე უმნიშვნელო ობიექტიც კი და არ გვაქვს იმის საშუალება, რომ მომქანცველი შრომის შემდეგ დავისვენოთ, აღვიდგინოთ ენერგია, იქვე მაღაზიაში შეგიძინოთ ჩვენთვის აუცილებელი ნივთი ან პროდუქტი. ამას მწვავედ იმტკიცებ განვიცდით, რომ საწარმო ქალაქს საკმაოდ დაცილებულია. ასეთი ობიექტები, სამწუხაროდ, ჯერ იმ მიკრორაიონებშია, სადაც იმ შეზღუდული ოდენობის საცხოვრებელ ბინებს ვდებულობთ.

ერთი სიტყვით, „რომ იტყვიან, სწორედ ისეა — ჯერჯერობით ხვთისა და ბედის ანაბრად ვართ მიტოვებულნი. საქმე ის არის, რომ ამ აუცილებელი ობიექტების შენებლობა არც ახლო მომავალშია გათვალისწინებული. შურით შეგიყურებთ ჩვენი ქალაქის ფლაგმანს — მეტალურგიულ ქარხანას, რომელსაც შესანიშნავი კულტურის სასახლე აქვს, ყოველწლიურად მრავალი ოჯახი ზეიმობს ახალმოსახლეობას, ხოლო საწარმოში ახალმოსულთათვის ადმინისტრაციამ ქირაობს საცხოვრებელ ფართობს და ფაქტიურად იგი უბინაო არ არის. ცხადია, ამ წესის დამკვიდრების შემდეგ ქარხანას მუშახელი არ აკლია და დენადობაც უმნიშვნელოა.

კეთილმოწყობილი ბინა, კლუბი, მაღაზია, საყოფაცხოვრებო ობიექტი ის ადგილებია, სადაც მუშას მიეხარია. გულსატკივნია, რომ ჩვენს ქალაქში კი არა, მთელს რესპუბლიკაში ზურგი შეაქციეს საუკეთესო ტრადიციებს, როცა ყველა ამ ობიექტს საწარმოთა გარეშემო აგებენ. ასე შეიქმნა მრავალი დასახლება. მიზანშეწონილად მიმაჩნია რუსთავში გაჩნდეს დასახლებები „ქიმშოჭკო“, „აზოტი“ და ა. შ. მით უმეტეს, რომ ამ საწარმოთა ირგვლივ ცარიელი სივრცე დიდია. მაშინ საწარმოს არ მიატოვებენ თუნდაც ისინიც, ვინც ორიოდე გროშის მომატებისთვის ადვილად სწირავენ მშობლიურ კოლექტივს.

ამ პრობლემებზე საუბარი მინდა დავამთავრო სიტყვებით, რომლებიც ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაშია ჩაწერილი: „თუ შევძლებთ გადამწყვეტ შემობრუნებას მივაღწიოთ სოციალურ სფეროში, მაშინ ჩვენი ცხოვრების ბევრი დღეანდელი, და კაცმა რომ თქვას, მომავალი პრობლემებიც გაცილებით სწრაფად და ეფექტიანად გადაწყდება, ვიდრე აქამდე წყდებოდა“.

— რა განწყობილებით შეუდგენენ ინდუსტრიული რუსთავისა და თქვენი გაერთიანების მშრომელები მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანების შესრულებას?

— სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილება კომუნისტთა მოქმედების პროგრამაა. რუსთაველი კომუნისტები, რომლებიც თანდათანობით თავს აღწევენ ქრონიკულ ჩამორჩენას, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყველაფერს იღონებენ, რათა პარტიის გეგმები რეალობად აქციონ. მეთორმეტე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ქალაქში უნდა გაიზარდოს 22 პროცენტით, მატების 85 პროცენტზე მეტს მივიღებთ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით, მნიშვნელოვნად გაიზრდება სხვა მაჩვენებლებიც.

ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში ჩაწერილია: „გავადიდოთ 1990 წელს ქიმიური ბოჭკოსა და ძაფის გამოშვება 1,85 მილიონ ტონამდე“. ეს დიდ ამოცანებს უსახავს ჩვენი გაერთიანების კოლექტივს. წლის დასაწყისიდან ჩავებით ქალაქში გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დევიზით: „მეთორმეტე ხუთწლედის პირველივე წელი ვაქციოთ გარდატეხის წლად“. მართლაც, გაერთიანებამ რამდენიმე წლის შემდეგ პირველად დაალწია თავი ჩამორჩენას და იანვართებერვალში გადაჭარბებით შეასრულეთ სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები, მაგრამ მარტში კვლავ ჩამორჩენილთა შორის აღმოვჩნდით.

ცხადია, ვერ შევასრულეთ კვარტალური გეგმაც. ახლა მთელი ჩვენი კოლექტივი ანანალიზებს შექმნილ მდგომარეობას, ყველა ღონისძიებას ვახორციელებთ, რათა საბოლოოდ დავაღწიოთ თავი ჩამორჩენას. საამისოდ სულ უფრო ფართოდ გამოვიყენებთ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების კოლექტიურ ფორმებს, სამეურნეო იარაღს, განვახორციელებთ მართვის ყოველმხრივ დემოკრატიზაციას, გავზრდით მასში შრომითი კოლექტივის როლს, როგორც ეს ყრილობამ მიგვითითა. წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში ხელს შეგვიწყობს აგრეთვე სამმართველო და საწარმოო საქმიანობის უნარიანი შეხამება ადამიანთა მუდმივ მუშაობასთან და სრულყოფასთან.

— და ბოლოს, როგორია თქვენი პირადი გეგმები და საზრუნავი?

—ქვეყნის კომუნისტთა უდიდეს ფორუმში მონაწილეობამ უსაზღვროდ გამახარა და ახალი ძალები შემმატა. ცვლაში გეგმით 400 კილოგრამ კორდის ძაფს უნდა ვამზადებდე, ფაქტიურად ორ დაზგაზე ვმუშაობ და 850-900 კილოგრამს ვამზადებ. ამჟამად ჩემს კალენდარზე 1989 წელი იწერება. როგორც დამრიგებელი, ვეხმარები აგრეთვე ჩემს კოლეგებს, გავზრდი რამდენიმე მგრეხავს. ხუთწლედის დაავლებას კი ორნახევარ წელიწადში შევასრულებ.

როგორც პარტიული აქტივის წევრი, როგორც ყრილობის დელეგატი ყოველდღიურად ვიზრუნებ ჩემი ქალაქის — მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისთვის, კომუნისტების აქტიურობისა და ინიციატივის გაძლიერებისათვის, სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

საუბარი ჩაიწერა

დ. ბიწაძემ.

ვიყურებოდეთ წინ!

გარდაქმნა საკუთარი თავით უნდა დავიწყოთ

ყრილობიდან დავბრუნდი მტკიცე გადაწყვეტილებით: მთელი ჩემი შეგნებული სიცოცხლე და ენერგია მოვახმარო პარტიისა და ხალხის საქმეს.

— თქვენთან ამჯერად ინტერვიუს ვიღებთ როგორც არა მხოლოდ სკკპ XXVII ყრილობის დელეგატთან, არამედ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთან, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრთან, გაერთიანების პარტკომის წევრთან. გთხოვთ პარტიული პოზიციებიდან განიხილოთ, რამ გამოიწვია მეთერთმეტე ხუთწლედში სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაში ინდუსტრიული რუსთავის ჩამორჩენა?

— ყრილობის მიმდინარეობისას უდიდეს სიხარულს თან სდევდა აღნიშნულით გამოწვეული უკმაყოფილების მწვავე გრძნობა. მართლაც, ქალაქმა, რომელიც ერთ დროს რესპუბლიკასა და ქვეყანაში იყო დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის, უჩამორჩენლებად მუშაობისათვის მოძრაობის ინიციატორი, დათმო პოზიციები. და თუმცა ნნიშვნელოვნად გაიზარდა საწარმოთა ფონდაღჭურვილობა, მაინც შემცირდა მათი გამოყენებისა და უკუგების დონე. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა მხოლოდ 12 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის გამოშვება — 20 პროცენტით დაგეგმილი 25 და 40 პროცენტას ნაცვლად, ქალაქმა ქვეყანას დააკლო 140 ნილიონი მანეთის ნაწარმი.

— ამ ფონზე როგორ გამოიყურებოდა თქვენი გაერთიანების კოლექტივი?

— სამწუხაროდ, სხვა საწარმოებთან ერთად დიდი სიძნელე შეუქმნა ქალაქს და რესპუბლიკასაც ჩვენი კოლექტივის ტრადიციულად ძველური არასტაბილურმა მუშაობამაც. ჩამორჩენას ვერც ჩვენ ავცდით. ეს მით უფრო გულსატკივნი იყო, რომ ხუთწლედის მანძილზე ამუშავდა ახალი სიმძლავრეები და იგი სამჯერ გაიზარდა. ამის მიუხედავად ვერ უზრუნველვყავით დავალების შესრულება, გეგმას დავაკლეთ 25 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, არც ხარისხის ნნიშვნელოვანს ვაქცევ ყველაფერი რიგზე.

— რა არის ყოველივე ამის მიზეზი?

— რა თქმა უნდა, არის ობიექტურიც და სუბიექტურიც. მაგალითად, ჩვენი გაერთიანების ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ნედლეულის დიდი შეფერხებით მიღება გახლავთ. ეს უწინარესად ჩვენი მეზობელი საწარმოო გაერთიანების „აზოტის“ კოლექტივის ბრალია. ეს საწარმოც ჩამორჩენილია, გეგმებს ვერ ასრულებს და ვერ გვაწვდის ვერგმით გათვალისწინებულ კაპროლაქტანს. მძიმე მდგომარეობაში გვაყენებს ანალოგიურად ჩამორჩენილი ჩირჩიკის საწარმო გაერთიანება „ელექტროქიმმრეწვიც“, რომელიც სისტემატურად შლის კაპროლაქტამის მოწოდების ვადებსა და გეგმებს. ჩვენ კი ამ ორი საწარმოს შეკუურენი ვართ. ასევე შეფერხებებია ენერგორესურსების მოწოდებაში. ამიტომ საკავშირო მივმართავთ „საქენერგოს“, რომელიც ხშირად გვითმავს ელექტროენერგიას. ჩვენივე ქალაქის მეტალურგიული ქარხანა და გაერთიანება „აზოტი“ კი ვერ გვაწვდიან საკმაო რაოდენობის თბოენერგიას. საწარმოს აკლია ზოგიერთი აუცილებელი მოწყობილობაც.

ახლა სუბიექტური ფაქტორები: პარტიის საქალაქო კომიტეტმა შეასუსტა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა. იგი ვერ მოქმედებდა როგორც ნამდვილი პოლიტიკური ორგანო, რასაც მოჰყვა ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის, ცალკეული კომუნისტების პასიურობა, მათი როლის დაკნინება, შეცდომები კადრების შერჩევაში, შრომის დისციპლინისა და ორგანიზაციის ნოშლა, საბოლოო ანგარიშით კი — ჩამორჩენა, დაგეგმილი ტემპების შემცირება.

ამის თაობაზე უფრო კონკრეტულად ჩვენი გაერთიანების პარტიული კომიტეტის მუშაობის მაგალითით გეტყვით: 600 კომუნისტი შრომობს საამქროებში. უბნებში, ცვლებში, სადაც წყდება პროდუქციის განოშვების ბედი. ეს საკმაოდ დიდი ძალაა, მთელი არმიაა, რომელთაც, როგორც იტყვიან, შეუძლიათ მთელიც კი შეძრან, თუ მათ აქტიურობას სწორად წარვმართავთ. აი, სწორედ ეს მთავარი, მსეფის დარაზმვის უნარი აკლდა გაერთიანებისა და პარტიული კომიტეტის ძველ ხელმძღვანელებს, ისინი საამქროთა პარტიული ორგანიზაციების, პარტჯგუფების ინიციატივასა და თვითმოქმედებას ვერ წარმართავდნენ კომუნისტები ავანგარდული როლის ასამაღლებლად, მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად. ვერ აწორკიელებდნენ ოპერატიულ ღონისძიებებს სიძნელეებიდან თავის დასაწევად. მარტო ჩამორჩენილი საწარმოო უბნების ხელმძღვანელთა ცვლამ, რაც მეტად ხშირი იყო, საქმეს ვერ უშველა. მაგალითად, ქიმიურ-სართავი საამქროს ხელმძღვანელობა ორ წელიწადში სამჯერ შეიცვალა. ვერ გამოინახა კაცი, რომელიც საქმეს თავს მოაბამდა. ხელმძღვანელი კადრებს, მათ შორის კომუნისტების უნიათობას და გულგრილობას თან სდევდა ავარიები, ხანძრები, რამაც გაციცებით ცუდ დღეში ჩააგდო საამქრო. გაერთიანების ხელმძღვანელობა იქამდეც კი მივიდა, რომ ერთ დროს საამქროს კვლავ ჩაუყენა სათავეში კომუნისტი გოგოლაძე, რომელიც ადრე განთავისუფლებული იყო ამ თანამდებობიდან უგერგილობისა

გარდაქმნა განვითარების საფინდარია

ჩოხატაურის რაიონში აგროსამრეწველო გაერთიანების სამი წლის მუშაობის გამოცდილება მოწმობს, რომ გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვა, მოწესრიგდა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, შრომის ორგანიზაცია, განმტკიცდა დისციპლინა. უკეთესად ხდება ტექნიკის, კომბინრებული საკვების შემოზიდვა, რაც გამორიცხავს არამწარმოებლურ ხარჯებს. ამით მეურნეობებს საშუალება ეძლევათ მეტი ყურადღება დაუთმონ მოსავლის მოყვანას.

აგროსამრეწველო გაერთიანება სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოება-განმტკიცებისათვის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების, საბინაო მშენებლობის და მატერიალური წახალისებისთვის წლითიწლობით ეფექტიანად იყენებს მოგების საფუძველზე შექმნილ ცენტრალიზებულ ფონდებს. ამ ფონდებით ეკონომიკურად სუსტ კოლმეურნეობებში აშენდა საწარმოო დანიშნულების ობიექტები, ხიდები, შეძენილია ტექნიკა.

წარმოების მართვის სრულყოფის ღონისძიებებმა, სამოლო ოპტიმალური შედეგის მისაღწევად აგროკომპლექსის პარტნიორთა ძალების კოსეტრაციამ გასაზღვრა ის, რომ რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის წარმოების, სახელმწიფოსათვის მიყიდვის და მოგების გეგმები, განმტკიცდა მეურნეობათა ეკონომიკა. 3 წლის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება, ანუ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშაკის მიერ საშუალოდ წელიწადში წარმოებული საერთო პროდუქციის ღირებულება 363 მანეთით გაიზარდა. შარშან მიღებულია 4043 ათასი მანეთი მოგება, საგეგმოზე 403 ათასით მეტი. მოგება 1982 წელთან შედარებით სამჯერ გაიზარდა, ფუფლადმა შემოსავალმა კი ბოლო სამ წელიწადში 48 პროცენტით მოიმატა.

საზოგადოებრივ მეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს შრომის ანაზღაურების შესაბამის მაჩვენებელს, რაც სოციალისტური სოფლის მეურნეობის გფაართოებული კვლაფარმოების ძირითადი ეკონომიკური პირობაა. აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობაში სასიკეთო ტენდენციების დასტურია ისიც, რომ ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების 1985 წლისა და მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული შედეგებისათვის ჩოხატაურის რაიონი გარდამავალი წითელი დროშით და ფულადი პრემიით დაჯილდოდა. საერთოდ, გასულ ხუთწლედში რაიონი ოთხჯერ დაჯილდოვდა რესპუბლიკური გარდამავალი დროშით. ხიდისთავის, ჩაისუბნის, განახლების კოლმეურნეობებმა კი საკავშირო დროშა მიიღეს.

თავისი ნაყოფი გამოიღო მეცხოველეობის ინტენსიფიკაციისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა. შარშან რაიონში პირველად შეასრულა რძის წარმოების დავალება. მიუხედავად ამისა, ამ დარგში ყველაფერი რიგზე როდია. საქმე ის არის, რომ წველადობა მეტისმეტად მცირეა ბუკისციხის, ნაბეღლავის, შუა განახლების, განახლების კოლმეურნეობებსა და საკამაისერის მეცენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. ამის მიზეზი ის არის, რომ აქაური ფერმებში ჯერ კიდევ დაბალია ზოოვეტმომსახურების დონე, ამ საქმეს ჯეროვან დონეზე ვერ წარმართავს რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მეცხოველეობის განყოფილება (გამგე რ. სიხარულიძე). მეცხოველეობის რენტაბელობის გაუმჯობესებაში ხელს გვიშლის ის, რომ საკუთარი საკვების წარმოებაში მიწის სიმცირის გამო სიძნელეები გვაქვს. ამიტომ მთელი ყურადღება გადაგვაქვს ჰექტარობრივი მოსავლიანობის მატებასა და დარგის სხვა რეზერვების ძიებაზე. კარგი შედეგი მოჰყვა ზოტის კოლმეურნეობის მაღალმთიან საძოვარზე მისასვლელი გზების გაყვანას („ზოტი-მერიაში“—ზღვის დონიდან 1600 მეტრ სიმაღლეზე), სამელიორაციო ტექნიკის გამოყენებას. დაშრობისა და ბუჩქნარის ამოძირკვის ფასიანობამ მეცხოველეობის სამსახურში ჩადგა 120 ჰექტარი მთის უხვმოსავლიანი სათობი.

მუშაობის გარდაქმნის, საქმის გაუმჯობესების დასაჩქარებლად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ კადრებისადმი მომთხოვნელობის გაძლიერებას. გაერთიანების გამგეობის სხდომებზე მეურნეობათა საშუალო რგოლის ხელმძღვანელებისა (რიგადირების) და სპეციალისტების მონაწილეობით საფუძვლიანად ანალიზდება ყოველ უბანზე გაწეული მუშაობა. ისახება ღონისძიებები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, ბრალეულები კი სათანადოდ ისჯებიან. მაგალითად, ბოლო ხანს მუშაობაში გამოვლენილი სერიოზული ნაკლოვანებებისათვის სამუშაოდან განთავისუფლდა სამი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, რვა ბრიგადირი და ორი მეცხოველეობის ფერმის გამგე. ბოლო ხანებში კარგ შედეგს გვაძლევს ახალგაზრდა სპეციალისტებისა და დამრიგებელთა მუშაობის გააქტიურების ღონისძიებები. რაიონის დამრიგებელთა საბჭოს უნარიანად უძღვება სოციალისტური შრომის გმირი, გამოცდილი სამეურნეო მუშაკი, ვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იოსია თავაძე.

რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი გზაა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გაძღოლის კულტურის ამაღლება. დასამალი არ არის, რომ ხშირად ირღვევა აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელების ვადები და პირუტყვის მოვლა-პატრონობის წესები, სუსტად ინერგება მოწინავეთა გამოცდილება. ამ ნაკლოვანებების გამოსწორებით, ყოველ უბანზე მუშაობის გარდაქმნით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და რესურსების სრულყოფილად გამოყენებით, რეზერვების ამოქმედებით მნიშვნელოვანი ახალი შრომითი წარმატებებს მოპოვებას შევძლებთ. ამასთან ზოგი პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა ზემდგომი ორგანოების დახმარება. მიუხედავად ამისა, რომ ჩოხატაური მაღალმთიანი რაიონია, იგი 1963 წლიდან თვითირთული პირობების გამო დაწესებული შეღავათებით არ სარგებლობს. საქმე ის არის, რომ, როცა ჩოხატაური მახარაძის რაიონს შეუერთდა, ამასთან დაკავშირებით მან მაღალმთიანობის კატეგორია დაკარგა. ერთი წლის შემდეგ რაიონები კვლავ განცალკევდნენ, მაგრამ კატეგორია ალარ აღუდგენიათ. ამ საკითხის მოგვარება რაიონს ბევრი ამოცანის გადაწყვეტას გაუადვილებს.

რაიონში, სადაც ბევრი სავარგული 15-20 გრადუსის დახრილობისაა, გაძნელებულია მიწის დამუშავება მუშახელისა და შესაბამისი ტექნიკის სმეცირის პირობებში. ამ საქმეში საკავშირო სამთო მიწათმოქმედების მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დახმარება გვეხერდება. ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება, თუ ჩვენთან მცირე მექანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა საცდელ-საჩვენებელი საყრდენი ბაზა შეიქმნება. ამ საქმეში რაც ‘ჩვენზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ.

დაუყოვნებელ მიხედვას საჭიროებს რაიონის მეცხოველეობის ფერმათა უმრავლესობა, რომლებიც ძველ, ხის შენობებშია მოთავსებული და ამის გამო მექანიზაციის გამოყენება შეუძლებელია. ამ საქმის მოგვარებაში აქტიურად გვეხმარება საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი და იმედია მდგომარეობას ამ ხუთწლედში გამოვასწორებთ. შესაბამისი უწყებებისა და სამინისტროების დახმარება გვჭირდება აგრეთვე სატელეფონო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაში. რა უნდა ვილაპარაკოთ მთის სოფლების საავადმყოფოებისა და ამბულატორიების შეუერებელ შენობებზე, როცა რაიონის ცენტრალური საავადმყოფოც ავარიულ მდგომარეობაშია და ხალი ინულებული სამკურნალოდ მეზობელ რაიონებში წავიდეს. არადა, ჯერ კიდევ სამი წლის წინათ რესპუბლიკური აქტივის კრებაზე ითქვა, რომ კაცს ‘ეფიდან გაგზავნა ‘ეძლებოდა, ოღონდ ‘ეფიდან ‘ეფიდან ‘ეფიდან

საქართველოს მწერალთა X ყრილობის წინ

თანამედროვე ქართული მწერლობა მეოცე საუკუნის ბოლოდროინდელ ეტაპზე ეროვნული ლიტერატურული კრიტიკაში ისეთი, ჩვენი პროფესიის კაცს რომ დაამახსოვრდება:

ჯერ კიდევ გურამ ასათიანის მიერ წამოწყებული დისკუსია ეროვნული ფენომენის შესახებ, რომლის მასშტაბი ნაწილობრივ იმან შეამცირა, რომ ესჯელობა უპირატესად მხატვრულ ლიტერატურას ითვალისწინებდა. ეროვნული ხასიათი კი ერის არსებობის მთელ დროსა და მისი საქმიანობის ყველა სფეროშია საძიებელი არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურ ქმედებაშიც.

„ცისკრის“ ნიერ კარგად წამოწყებული დისკუსია ახალგაზრდულ პოეზიაზე, რომელიც შემდეგ წვრილმან პრობლემებად დახურდავდა.

და დისკუსია ირონიულ-პარადიული პოეზიის (უფრო სწორად — ირონიული ლექსის) ირგვლივ. მან მკაფიოდ გამოავლინა ჩვენი თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის ბევრი ნაკლი, რომელთაგან ზოგი ზეთოდოლოგიური გახლავთ.

ჩვენი მწერლობა არაერთგვაროვანია სტილებრივად (კიდევ კარგი, რომ არაა ერთგვარი), მასში თავს იჩენს როგორც ეროვნული ლიტერატურის ნიადაგზე აღმოცენებული სიახლეები, ისე მსოფლიო ლიტერატურული პროცესის თუ ახალი სინამდვილის გავლენით გამოწვეული ნოგაციები. ეს ნორმალური პროცესია ლიტერატურისა, თუ ყოველივე იმ სათქმელის გამოხატვას ემსახურება, რომელიც ეროვნულად და მოქალაქეობრივად მნიშვნელოვანია.

სიახლე ბევრია და აξ სიახლეებმა ქართულ მწერლობას უდაოდ მოუტანა დამსახურებული აღიარება როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, ქართული ლიტერატურული კრიტიკა ყოველთვის მხარში ედგა მწერლობას, მაგრამ მაინც ξას ზოგი რამ ამ სიახლეთაგან ჯერჯერობით ვერ გაუანალიზებია და ჯეროვნად ვერ შეუფასებია. მეტიც, არის ჟანრები, რომელთაც კრიტიკა თითქმის არ

კრიტიკა საზოგადოებრივი საქმეა...

აქცევს ყურადღებას. დრამატურგია და საყმაწვილო ლიტერატურა მაქვს მხედველობაში. არის ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებანიც ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა — რემითოლოგიურების პროცესი, ირონიული და გრაფიკული პოეზია, სიტყვასთან ახალი მიმართება, ვერლიბრი, ახალი ისტორიზმი, დროისა და სივრცის ახლებური გაგება, პიროვნების დაშლა და მასთან დაკავშირებული სოციალურ-ფსიქოლოგიური და მხატვრული პრობლემები. ცნობიერების, ნაკადის პოეტიკა და ა. შ. სანუშაო ბევრია, გამკეთებელი კი ცოტა, და ესაა თუ ის შეცდომები სულაც არ ნიშნავს, რომ ხელი აავიღოთ ამ პრობლემათა შესწავლაზე. ფაქტები არსებობს და მათ კვალიფიცირება უნდა. ეს კრიტიკის ერთი უპირველესი დანიშნულებაა. ოღონდ, შეიწყნარებლად მიმაჩნია ამა თუ იმ შეხედულებათა თავსξოხვევა, გენერალიზება, პროვინციული ნიშანი „ბანაა გრანდიოზს“ გამოვლენა და საკითხთა კვლევისა თუ შეფასების მონოპოლიზირება.

თუ კრიტიკის განვითარება გვსურს, აღნიშნულ მოვლენათა ნებისმიერი რეციდივი უკომპრომისოდ უნდა აღიკვეთოს. ამდენად დამაფიქრებლად ისმის „კომუნისტში“ დაბეჭდილი გიორგი გაჩეჩილაძის წერილის — „კრიტიკა და „კრიტიკის“ თვალსაწიერი“— სიტყვები იმის თაობაზე, რომ ირონიულ ლექსებს ლიტერატურულ სამყაროში არსებობისა და მოქალაქეობის უფლება „ულმობელი დიქტატორივით არ-თმევს ზოგიერთი კრიტიკოსი“.

სერიოზული ბრალდებაა, მით უფრო დღეს, როდესაც შემოქმედის ძიებათა შეფასებისას პარტია სიფრთხილისაკენ, ტაქტისაკენ, სამართლიანობისა და კეთილმოსურნეობისაკენ მოგვიწოდებს.

დამოიგებულება ლიტერატურასთან მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კრიტიკის ავკარგიანობას. რამდენადაც ვიცი, ირონიულ პოეზიასთან დაკავშირებით მწვავე კრიტიკული წერილები გამოაქვეყნეს აკაკი ვასაძემ („შენიშვნები ირონიულ-პაროდიული ნაკადის გამო“. „კრიტიკა“, № 2, 1985) და ავთანდილ ნიკოლეიშვილმა („ორი კრიტიკული ეტიუდი“, „კრიტიკა“, 1985, № 3). აკაკი ვასაძის წერილში არის საკაანათო საკითხები, მაგრამ ერთ რაξეს იგი ხაზგასმით ამბობს: „რა თქმა უნდა, ჩვენი კრიტიკა ხშირად მართებულად აღნიშნავს იმ ღირსებებს, რაც ახასიათებს... ირონიულ-პაროდიული სტილითი დაწერილ ლექსს..., მაგრამ ვერ დავეთანხმები კრიტიკოსთა მიერ ძალზე ერთბაშად, ძალზე განურჩევლად—ნაკლულოვანებათა მითითების გარეშე — გუნდრუკის კმეკას უახლეს პოეზიაში ირონიულ-პაროდიული ვარიაციებ ი ს ყოველნაირი გამოვლინებებისადმი“.

ა. ნიკოლეიშვილის წერილიც ამ პოზიციიდან არის დაწერილი.

ირონიული პოეზიისთვის „ზოქალაქეობის უფლება“ არავის წაურთმევია. ასე რომ, საყვედური უსაფუძვლოა, მაგრამ ეξვი კია გამოთქმული იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა რომელმე თეორიას ვახტანგ ჯავახაძის ქვემოთმოყვანილი ირონიული ტექსტი აქციოს ლექსად იმ რეალობაში, რომელსაც დღევანდელი ქართული პოეზია ჰქვია?

„ლექსი იმის შესახებ
ნამდვილად უყვარდა თუ არა
შოთა რუსთაველს თამარ მეფე
და იმის შესახებაც
ნამდვილად თანაუგრძნობდა
თუ არა
თამარ მეფე შოთა
რუსთაველს.
არა!“

გულწრფელად რომ ვთქვა, ჩემთვის ეს მხოლოდ პოეტის ხუმრობად რჩება, რომელშიც ირონიული ღიღილი ობივატელური ცნობისმოყვარეობის მიმართ სათაურისა და ტექსტის წინააღმდეგობრივმა მთლიანობამ უნდა გამოიწვიოს, მაგრამ რატომაა იგი ლექსი და რატომაა საერთოდ ხელოვნება, გაუგებარია, როგორც ამწესთან ღმერთი, ხელში უჭირავს მიკროფონი, უჭირავს და ყვირის: — ვირა! ვირა! ვირა! ვირა! ვირა! ვირა! ვირა! ვირა!— მაინს!), მხატვრული ანალიზის გარეშე (ზემოთ ვთქვით, კრიტიკის ერთი მთავარი დანიშნულება ესეცაა — ნათელყოს ტექსტის მხატვრული ღირსებანი, ამ შემთხვევაში — დაგვიმტკიცოს, რომ მსგავსი ტექსტები ლექსია?), და მსჯელობა უკვე კონცეფციების სიმაღლეზე აჰყავს, ხელოვნურად უკავშირებს აξ ტექსტებს ირაკლი აბაშიძის ლექსს, მსჯელობს „სიკეთის ტრადიციულ, ორთოდოქსულ გაგრძნობა“ „რუსთველურ-ავთანდილურ, სერვანტეს-დონ კიხოტურ, ბარათაშვილის — „მერნისეულ პოზიციაზე“, რომელიც „ჩაყენებულია თანამ ედ რ ო ვ ე ცნობიერებასა და სიტუაციაში“ და ა. შ. ნებსით თუ უნებლიედ გართულებული და გაზვიადებულია. ყველაფერი, მხოლოდ იმიტომ, რომ დამტკიცდეს, რაკიღა ირაკლი აბაშიძის ლექსი და ეს ტექსტები „ერთი საუზროვნო სიტუაციის“ პირξშონი არიან, ორივეს ერთნაირად არსებობის უფლება. მაგრამ ერთი და იგივე „საუზროვნო სიტუაცია“, ერთმანეთისგან მნიშვნელობით, ღირსებით, ბუნებით განსხვავებულ მოვლენებს რომ წარმოშობს ხოლმე, უგულებელყოფილია. ეს არაფერი. მსგავსი წუნი თუ ლაპსუსი, ალბათ, ყოველი კრიტიკოსის შეξმოქმედებაში მოინახება, მაგრამ მთავარი ისაა, თუ არ დაეთანხმები ამ აღმოჩენებს, დაგტუქსავენ:

„ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა ახლისადმი კონცეფციური დამოკიდებულების გამომუშავება. ეს რთულიცაა“, — წერს გ. გაჩეჩილაძე. მიზეზი კი ვერაგიგებია, თურმე, ის ყოფილა, როგორც ირონიულად გვიხსნის გიორგი გაჩეჩილაძის ახალგაზრდა კოლეგა — მიხეილ ქურდიანი, რომ „თანამიმდევრული დიალექტიკური აზროვნება ადამიანთა უმეტესობას ჯერ კიდევ უჭირს. მეტაფიზიკოსები არა მარტო კრიტიკოსთა შორის, არამედ მთელ საზოგადოებაშიც ქარბობენ დიალექტიკოსებს“ (მ. ქურდიანი — „ანტიავაროესი, ანუ პოეტური შემოქმედების პრინციპები და მეთოდის პრობლეξა თანამედროვე ქართულ კრიტიკაში“).

სხვათა შორის, ყოველივე ამას მივყავართ მასის მიერ ხელოვნების ვერგაგების და მცოდნე რჩეულთა ანუ ელიტის პრობლემასთან, რაც ახალი არაა. არა მგონია, რომ ქართულ ხელოვნებას სჭირდებოდეს ამ შეხედულებათა დღევანდელ საქართველოში გადმოხერგვა, თუნდაც იმიტომ, რომ აქ რეალური ელიტა არ ჩანს.

ასე, ξეორადი პოეზიაში, ხელოვნურად იქცევა უმთავრესად— ლამის ქართული პოეზიის სამომავლო მაგისტრალურ ხაზად. ხდება კრიტერიუმების აღრევა, რაც საბოლოო ანგარიშში ლიტერატურისთვის მომაკვდინებელია.

აქ მართლა უნდა დაისვას კრიტიკის პასუხისξგებლობის საკითხი. რატომ გამოაქვს მას განსახილველად პოეტის ვერგამართლებული „ლექსპერიმენტი“, რომელიც მომავალში შეიძლება კარგი ლექსის საფუძვლადაც კი იქცეს, და რატომ აჰყავს იგი კვარცხლბეკზე?

ნებსით თუ უნებლიედ ეს პოეზიის დათვური სანსახური, ძალადობა საზოგადოებრივ აზრზე, მისი დეზორიენტაცია და დაბნევაა.

დაბნევა ყველა დონეზე. არა მარტო მისამართების აღრევით, არამედ მათი გაუქξებითაც. მხედველობაში მაქვს გ. გაჩეჩილაძის წერილის ერთი რთულად დაშიფრული ფრაზა, რომლითაც გაზეთ „კომუნისტში“ ოდესღაც გამოქვეყნებული რომელიღ აც ლექსები აგდებითაა შეფასებული. რაც ერთი-ორი კაცისთვის თუ იქნება გასაგები. კრიტიკა კი ყველასთვის იწერება.

ესეც ჩვენი კიდევ ერთი ნაკლი.

მოკლედ, პრინციპული საკამათო ბევრია.

ტ. ჭანტურია და ვ. ჯავახაძე ის პოეტები არიან, რომელთა შემოქმედება გაუძლებს ასეთ ზემოთ ციტირებულ „ლექსებს“, მეტიც, იგი მათთვის ის ექსპერიმენტია, რომელმაც, ჩემი აზრით, უკვე ახარა ξათსავე „სერიოზულ პოეზიაში“ სასიკეთო ყლორტი, მაგრამ განა ყველა ექსპერიმენტი ეξ ასეთია? ეს ეξ ეჭვია. ეს ზოგი რამ ამ სიახლეთაგან ჯერჯერობით ვერ გაუანალიზებია და ჯეროვნად ვერ შეუფასებია. მეტიც, არის ჟანრები, რომელთაც კრიტიკა თითქმის არ ეკეთილსინდისიერი და მაღალპროფესიული კრიტიკის არსებობას, რომლისთვისაც ჰეშმარიტების ძიებაა მთავარი და არა გაწყრომა ვინმესი და რაიმესი.

მაგრამ სუბიექტურობა ვერასოდეს ვერ გვიწევს კარგ სამსახურს. ეს თუნდაც გ. გაჩეჩილაძის მიერ პოეტთა ჩამოთვლასა და შეფასებებშიც გამოვლინდა, როდესაც მართლაც კარგ პოეტთან, შოთა ნიშნიანიძესთან დაკავშირებით მან გაიმეორა ქურდიანისეული გადაჭარბებული შეფასება („შოთა ნიშნიანიძის მონუმენტური ფიგურა“) და ჩამოთვალა იმავე ქურდიანით, ახლა უკვე როგორც პოეტით, დაამთავრა შემდეგ კონტექსტში: „ახალგაზრდული პოეტური ტალღა: ბ. ხარანაული, ლ. სტურუა, ი. ორჯონიკიძე, თ. ბექიშვილი, მ. წიკლაური, გ. ალხაზიშვილი ვ. ხარჩილავა, ნ. ადეიშვილი, მ. ქურდიანი და ა. შ.“ მაპატიონ ქალბატონებმა ლია სტურუამ და იზა ორჯონიკიძემ, მაგრამ აქ ახალგაზრდა მხოლოდ ორ კაცს თუ ეთქმის (ხარჩილავა, ქურდიანი) ყველა დანარჩენი ასაკითაც და პოეტური მონაგარითაც, მნიშვნელობითაც, ბევრად აღემატება მიხეილ ქურდიანს, კაცს, რომელსაც, ალბათ, თავისი ერთადერთი პოეტური კრებულის ოცდაცხრა ლექსის პირუთვნელი შეფასება უფრო სჭირდება, ვიდრე ხელწაკვრით წინ წამოყენება. ამ სიაში ბევრი კარგი პოეტი არ არის ნახსენები, უფროსთაგან თუ უმცროსთაგან, ბევრად ღირსეული და ბევრად დამსახურებული, უგულვებელყოფილია, საერთოდ, ახალგაზრდული პოეზია, რომელსაც მხოლოდ ეს ორი კაცი (ვ. ხარჩილავა, მ. ქურდიანი) ნამდვილად ვერ წარმოადგენს. სხვათა შორის, გიორგი გაჩეჩილაძე ქურდიანის ფიგურის ამგვარ შეფასებაში მარტო არ გახლავთ, იგი არსებულად ეყრდნობა ირაკლი კენჭოშვილის მიერ („კრიტიკა“, 1985, № 3, In risy veritas) გამოთქმულ მოსაზრებას: „მე მიმაჩნია, რომ პოეზიის ეს ნაკადი, წარმოდგენილი ისეთი განსხვავებული ხელწერის პოეტებით, როგორიც არიან, ვთქვათ უფროსთაგან — მუხრან მაჭავარიანი, ხოლო შედარებით ახალგაზრდათაგან — მიხეილ ქურდიანი (ზოგიერთი ლექსთ) — ანგარიშგასაწევი და ფრიად საინტერესო სიახლეა. ამგვარი პოეზია ხშირად ქმედითად ებმება იმ პრობლემებში, რომელნიც ერისა და ენის დღევანდელ ვითარებას და საზოგადოების წვრთნა ერთად ცხოვრებას უკავშირდება“.

უდავოდ დიდი პატივია მუხრან მაჭავარიანის გვერდით დგომა, უფრო მეტად კი ქმედითად ჩაბმა „იმ პრობლემებში, რომელნიც ერისა და ენის დღევანდელ ვითარებას და საზოგადოების წვრთნა ერთად ცხოვრებას უკავშირდება“. ეს ისე გაუჭირდა ესთეტიკურ აზრს არისტოტელედან მოყოლებული დღემდე, რომ ქურდიანისა და მისი თაობის იმედზე დატოვა „ორი ხელოვნების თეორიის“ ჩამოყალიბება?

აქ კამათი უკვე სცილდება ლიტერატურის ფარგლებს.

სუბიექტურობით განპირობებული კომპლიმენტურობა — აი კიდევ ერთი ნაკლი ჩვენი კრიტიკისა.

გამიგრძელდა ირონიულ-პაროდიულ პოეზიაზე ლაპარაკი და დროა, არაორეფიფულად გამოვავლინო ჩემი დამოკიდებულება, მისადმი: „ირონიულ-პაროდიული პოეზია“ მე ჩვენი დღევანდელი პოეზიის ერთ-ერთ ძირითად ტენდენციად მესახება. მას მოქალაქეობრივი უფლება აქვს, მაგრამ მისი გამოცხადება ჩვენი დღევანდელი პოეზიის ძირითად ნიშნად თუ მიმართულებად, მისი როლისა და ადგილის გაზვიადება იქნებოდა, ისევე, როგორც სხვაგვარი პოეტიკის გადაჭარბებულად შეფასება. ჩემს ამ რწმენას ისიც აძლიერებს, რომ იმათ შემოქმედებაში, ვინც ირონიულ-პაროდიული პოეზიის წარმომადგენლებად ითვლება, გაცილებით მნიშვნელოვანია ის ლექსები, რომლებშიც ადამიანურ სევდასთან და „სერიოზულ“ მედიტაციასთ ა ნ გვაქვს საქმე“ (გრ. აბაშიძე).

„რაკი კაცობრიობის ცხოვრება მარადიული წინსვლაა, ირონიულსა და ჰეროიკულს თავ-თავიანთი ფუნქცია, დანიშნულება და ადგილი აქვთ“..... „ამიტომ ორივე საჭიროდ მიმაჩნია, ოღონდ ძალიან ზუსტად უნდა განვსაზღვროთ — როდის რომელი. არც ირონიული უნდა ვაქციოთ მოსაწყენ ერთფეროვნებად და არც ჰეროიკული. ეს ზომიერება კი დღევანდელ ჩვენს პოეზიაში დარღვეულია“ (ა. ბაქრაძე).

მე სულაც არ ვამტკიცებ, რაკიღა გ. გაჩეჩილაძე, ი. კენჭოშვილი და მ. ქურდიანი თანამოაზრეები არიან ირონიულ-პაროდიული პოეზიის შეფასებაში, ისინი შეითქვნენ-მეთქი... თუკი გ. ასათიანი, გრ. აბაშიძე, ა. ბაქრაძე, ა. ვასაძე, ა. ნიკოლეიშვილი, ხოლო ახლა კ. იმედაშვილიც დაახლოებით ერთნაირად აფასებენ ირონიულ-პაროდიული პოეზიის ნაკადს, უნდა გვეგონოს ისინი „დაკგუფებულნი“?

მწერლობაში მიმდინარეობ ξს ჩრდილოეთ პროცესები და მათ გარშემო აზრთა შეხლა-შემოხლა ცუდი კი არა, კარგია, რა თქმა უნდა, თუ მხოლოდ ლიტერატურული ინტერესებით არის ყოველივე ეს ნაკარნახევი.

ირონიულ-პაროდიული პოეზიის გარშემო პოლემიკამ მკაფიოდ გამოავლინა მოვლენათა კონტურები. ეს საჭირო დისკუსია იყო, მაგრამ მან ისიც დაგვანახვა, რომ „საჭიროა ზედმიწევნით იცოდე საგანი, დაუშვებელია ზერეღობა, ლიტონი ესთეტობა“, რომ არ შეიძლება ესთეტიკასა თუ ლიტერატურის ისტორიოსოს. ეტყობა, სწორედ ამიტომ კრიტიკას გაუჭირდა და ლამის წაგვლეკოს სტრიქონნენად დალაგებულმა პროზამ, რომელსაც პოეზიის არაფერი სცხია.

არის სხვა პასუხგაუცემელი კითხვებიც. გასარკვევია თუნდაც მითოსის ფუნქცია თანამედროვე საბჭოთა და ქართულ ლიტერატურაში. ეს პრობლემა თეორიულ ასპექტში სათანადოდ არ არის შესწავლილი არა მარტო ჩვენთან, არამედ საბჭოთა ლიტერატურა შეიქმნა უკვე მითოსთან მიაზღების შედეგად მთელ საბჭოთა მწერლობაში და აქ მხოლოდ წარსულის გამოცდილებაზე დაყრდნობით მსჯელობა მოვლენას ვერ ახსნის. სწორედ ასეთ, მხოლოდ გუშინდელი დღით განპირობებულ მსჯელობად მიმაჩნია ოთარ ჩხეიძის სიტყვები იმის თაობაზე, რომ „კლასიკური რეალიზმი და საერთოდ რეალიზმი ყოველად ნაკლი მოვლენაა და ამასთან ის მოვლენაა, თავისუფალი რომ გახლავთ მითოლოგიზმისაგან, მით უმეტეს, ძალდატანებული მითოლოგიზმისაგან“.

თუ ოთარ ჩხეიძის მსჯელობა რეალიზმის ისტორიულ გამოცდილებაზე გასაზიარებელია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგივე საწყაოთი შევაფასოთ საბჭოთა ლიტერატურის დღევანდელი გამოცდილება.

ასეთი დამოკიდებულება მითოლოგიერების პროცესთან, მე მგონი, ნაწილობრივ შემოქმედის სუბიექტური შემოქმედებითი პოზიციიდანაც აიხსნება. ვფიქრობ, სწორედ სუბიექტური პოზიცია განაპირობებს აგრეთვე რევაზ მიშველაძის, როგორც პროზაიკოსის, დაეξვებულ დამოკიდებულებას, მისივე ტერმინები რომ ვიხმაროო, „მითოსურ-ისტორიულ“ და „აბსტრაქტულ-რებუსულ“ პროზასთან, გაბედულ ძიებებთან ენის სფეროში...

ასე ვვარდებით ერთი უკიდურესობიდან მეორეში, ვაზვიადებთ ერთის ექსპერიმენტებს და უარვყოფთ მეორის მიღწევებს. ექ შმარიტება სხვაგანაა. ნუ დავინახავთ ყველგან მითს, ნუ ამოვხსნით ყველაფერს ფსიქოანალიზით, ნუ ავიყვანთ კვარცხლბეკზე ირონიულ პოეზიას, მაგრამ ნურც უარვყოფთ. ჩვენი მწერლობის სიკეთე მის მრავალფეროვნებაშია, კვლევაც მისი შესაბამისი უნდა იყოს. ნებისმიერი უკიდურესობა და რეალობის უგულებელყოფა საქმეს ვნებს.

ძალზე გაგვიგრძელდა ლაპარაკი ფორმისმიერ ძიებათა შესახებ. თუმცა, განა ავტორის მიერ საკუთარი ესთეტიკის ძიება საკუთარი პოზიციის ძიება არაა? ეს ხომ უმთავრესი პრობლემაა დღევანდელი ლიტერატურისა (ბახტინი).

ამ რთულ ძიებათა შედეგებისა და მნიშვნელობის გარკვევაზე ქართულ კრიტიკას არასოდეს უთქვამს უარი. რაკი ნაკლს აღვნიშნავთ, ღირსებასაც ნუ დავიგიწყებთ! ბევრი პრობლემა ქართული მწერლობისა სწორედ კრიტიკამ წამოსწია, მან გაამახვილა საზოგადოების ყურადღება ამ პრობლემების შეფარულ ასპექტებზე. მაგრამ კრიტიკის როლი მარტო არსებულის კვალიფიცირებით არ ამოწურება... კრიტიკამ ლიტერატურული ატმოსფერო უნდა შექმნას, სუბუალი უნდა შექმნას ლიტერატურული ფაქტის დაბადებისათვის, კონცეფციები უნდა წამოაყენოს. ასე რომ, კრიტიკის საზოგადოებრივი როლი და მნიშვნელობა მართლაც მეტად დიდია! ამდენად დაზუსტებას საჭიროებს ის წინააღმეგობრივი წარმოდგენაც კრიტიკის საზოგადოებრივ როლზე, რომელიც გიორგი გაჩეჩილაძის წერილში შეინიშნება: „როგორც ცნობილია, თავისი საუმჭელის დასრულება ჰამლეტმა სწორედ ჰორაციოს სთხოვა“.

სიტყვაკაზმულ მწერლობას თავისი სპეციფიკური სათქმელი აქვს, კრიტიკას — თავისი, და მხატვრული ლიტერატურის სათქმელი მხოლოდ მხატვრულმა ლიტერატურამ უნდა თქვას, კრიტიკისა — კრიტიკამ.

მწერლობის განვითარება ორივეს უსასრულო დიალოგს გულისხმობს, არცთუ იშვიათად — მწვავეს, მაგრამ მაინც დიალოგს.

არა უთქმელი სათქმელის დასრულება, არამედ, როგორც იგივე კენჭოკოსი ბრძანებს, — „თანამზრახველობა, თანამებრძოლობა, დროის თანაგანმცდელობა“.

თუ კრიტიკა დასჯერდება მეორე როლს ლიტერატურულ ცხოვრებაში, იგი ვერასოდეს გადაწყვეტს მის წინ დაყენებულ ამოცანებს.

ბევრი რამ დამრჩა უთქმელი, გაზეთს თავისი კანონები აქვს, მაგრამ კამათი და ძიება ალბათ, კიდევ გაგრძელდება.

ეს წერილი გუშინდელი და თუნდაც მხოლოდ Ხდღევანელი დღის გამო არ დაწერილა. ხვალინდელი დღისთვის დიდი და იქნებ გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს იმას, თუ ახალ პრობლემებში როგორ შეძლებს ქართული კრიტიკა არა მარტო საუკეთესო ტრადიციების გაგრძელებას, არამედ ახალი ტრადიციების საფუძვლების ჩაყრასაც, იმას, თუ რა პრინციპებს დაუდებს საფუძვლად იგი თავის სამომავლო ძიებებს.

მთავარი ეს არის!

კრიტიკას ყოველთვის უნდა ახსოვდეს თავისი მისიის მნიშვნელოვნობა, უნდა ახსოვდეს, რომ არავინ და არაფერი არ ღირს მაღალი პრინციპების დათმობად მან არასოდეს არ უნდა დაკარგოს პროფესიული ღირსების გრძნობა და შინაგანი თავისუფლება, ყოველივე ის, რის გარეშეც „საზოგადოებრივი საქმის“ კარგად კეთება შეუძლებელია.

კობა იმედაშვილი.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ

ᲡᲣᲮᲣᲛᲘ, აფხაზეთის ასსრ საბჭოების სხდომათა დარბაზში გაიმართა აფხაზეთის მწერალთა VII ყრილობა.

მოხსენება „აფხაზეთის მწერალთა კავშირის მუშაობისა და სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მისი ამოცანების შესახებ“ გააკეთა აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ა. ჯონუამ. თანამოხსენება გააკეთა აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. კალანდიამ.

მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში ავტონომიურ რესპუბლიკაში გრძელდებოდა ლიტერატურული პროცესის სრულყოფა ლიტერატურის ძირითად ჟანრებში — პოეზიასა და პროზაში, შეიქმნა მთელი რიგი ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, მტკიცდებოდა და ვითარდებოდა აფხაზური ლიტერატურის ნაყოფიერი შემოქმედებითი ურთიერთობანი რუსულ და ქართულ, სსრ კავშირის სხვა ხალხების ლიტერატურებთან, უმჯობესდებოდა მთარგმნელობითი საქმიანობა. აფხაზეთის მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებებმა მკითხველთა ფართო აღიარება მოიპოვეს როგორც ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და საზღვარგარეთ.

ამასთანავე ყრილობაზე აღინიშნა, რომ სკკპ XXVII ყრილობაზე განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ გამოვლენილი აფხაზური ლიტერატურის ზრდის შესაძლებლობანი. დაბალია ზოგი გამოქვეყნებული ნაწარმოების იდეურ-მხატვრული დონე, ისინი ხშირად არ უპასუხებენ საზოგადოების მოთხოვნებს. საგამომცემლო და სარედაქციო პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ შექმნილა ისეთი ბარიერი, რომელიც ხელს შეუშლიდა მდარე ნაწარმოებების გამოცემას, რომელთა რაოდენობა არცთუ ისე მცირეა. კვლავ არადამაკმაყოფილებელია ლიტერატურული კრიტიკა, თანამედროვე მოთხოვნებს ჩამორჩება დრამატურგია, რაც აფხაზეთის თეატრების რეპერტუარის უფერულობის მთავარი მიზეზია.

ყრილობის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის გ. ციციშვილის სიტყვა.

ყრილობაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა.

გაიმართა აფხაზეთის მწერალთა კავშირის ახლად არჩეული გამგეობის პირველი პლენუმი. აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ა. ჯონუა, მდივნებად გ. კალანდია და ნ. ჰაშბა.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

თანამედროვეობის ასახვა— მთავარი ამოცანა

სულ უფრო იხვეწება საბჭოთა ოსეთის მწერალთა შემოქმედება, იზრდება მისი პოპულარობა. ოსური რომანი, ლექსი, მოთხრობა თუ პიესა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის კუთვნილება გახდა, მას ინტერესით კითხულობენ.

ეს კმაყოფილებით აღინიშნა საბრეთ ოსეთის მწერალთა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. საანგარიშო პერიოდი ხუთ წელიწადს მოიცავს. იგი ნაყოფიერი იყო ოსური მწერლობისათვის, მარტო გამომცემლობა „ირისთონმა“ 95 დასახელების მხატვრული ნაწარმოება გამოსცა.

მომხსენებლმა — საქართველოს მწერალთა კავშირის საბრეთ ოსეთის განყოფილების ყოფილმა პასუხისმგებელმა მდივანმა კ. მარგიევმა, თანამომხსენებელმა, პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ნ. ჯუსოევმა, მწერლებმა ს. ხაჩიროვმა, ლ. ხარკვანიმ, ი. პლიევმა, ალ. ფუხაევმა, მ. გაბულოვმა, გ. ჯადტიევმა, რ. თედეევმა ქმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში ნათლად ჩანს ოსი მწერლების სწრაფვა საკუთარი პროფესიული ოსტატობის სრულყოფისადმი.

ორატორებმა ყველაზე მტკივნეულად ის მიიჩნიეს, რომ ოსური ლიტერატურა, მწერლობა ვალშია თანამედროვე ადამიანის წინაშე. მისი გმირული ეპოქაა, სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური და კულტურული აფფურჩქვნის ხანა სრულყოფილად ვერ აისახა ლიტერატურაში. ვერ შეიქმნა ახალი ადამიანის გმირული ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა.

კრებამ აირჩია საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების ბიურო და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა. განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად არჩეულია პოეტი ი. ქოზაევი.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ეროვნული

ფაქტები • მოვლენები

კაცობრიობის ბედისათვის ზრუნვის მკაფიო მაგალითი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა საბჭოთა ტელევიზიით მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, პროგრესული პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების ყურადღების ცენტრშია

აშშ

ვაშინგტონი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლას საბჭოთა ტელევიზიით მაღალი შეფასება მისცა საზოგადოებრივი ორგანიზაციის — ვაშინგტონის მშვიდობის ცენტრის ხელმძღვანელობის წევრმა დენიდ პეტერერმა.

„ამერიკელი მშვიდობის მომხრენი, — თქვა მან, — აღფრთოვანებული არიან საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის მიერ გამოცხადებული გადაწყვეტილებით ამა წლის 6 აგვისტომდე გააგრძელოს სსრ კავშირის ცალმხრივი მორატორიუმი ბირთვულ აფეთქებებზე". მ. ს. გორბაჩოვის წინადადება, შეხვედს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ევროპის ნებისმიერი სახელმწიფოს დედაქალაქში ან ჰიროსიმაში, მოწმობს ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტის შესახებ საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტის აუცილებლობას, აღნიშნა დასავლეთ გერმანიის დასს სააგენტომ.

იაპონია

ტოკიო. კმაყოფილების ღრმა გრძნობით და იმედით შეხვდა ჰიროსიმის საზოგადოებრიობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადებას ამა წლის 6 აგვისტომდე გააგრძელოს სსრ კავშირის ცალმხრივი მორატორიუმი ბირთვულ აფეთქებებზე და მის მოწოდებას პრეზიდენტ რეიგანისადმი დაუყოვნებლივ მოლაპარაკონ ბირთვულ აფეთქებათა აკრძალვის თაობაზე.

მ. ს. გორბაჩოვის წინადადება, რომ მოეწყოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა ჰიროსიმაში, რომელმაც ატომური დაბომბვის საშიშელება განიცადა, მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი მეტად სერიოზულად ეკიდება ბირთვული შეიარაღების საშუალებების აკრძალვის საკითხებს.

არდის სატელევიზიო პროგრამამ თავისი ახალი ამბების მორიგი გადმოცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლის შესახებ ცნობით დაიწყო. „საბჭოთა პარტიულმა ხელმძღვანელმა, — აღინიშნა გადაცემაში, — გამოაცხადა გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და მთელი კაცობრიობის უშიშროების ინტერესებს: ამა წლის 6 აგვისტომდე გააგრძელოს სსრ კავშირის ცალმხრივი მორატორიუმი ბირთვულ აფეთქებებზე". მ. ს. გორბაჩოვის წინადადება, შეხვედს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ევროპის ნებისმიერი სახელმწიფოს დედაქალაქში ან ჰიროსიმაში, მოწმობს ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტის შესახებ საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტის აუცილებლობას, აღნიშნა დასავლეთ გერმანიის დასს სააგენტომ.

ბონი

ბონი. მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლამ საბჭოთა ტელევიზიით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღება მიიპყრო.

ARD-ის სატელევიზიო პროგრამამ თავისი ახალი ამბების მორიგი გადმოცემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლის შესახებ ცნობით დაიწყო. „საბჭოთა პარტიულმა ხელმძღვანელმა, — აღინიშნა გადაცემაში, — გამოაცხადა გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და მთელი კაცობრიობის უშიშროების ინტერესებს: ამა წლის 6 აგვისტომდე გააგრძელოს სსრ კავშირის ცალმხრივი მორატორიუმი ბირთვულ აფეთქებებზე". ეს გადაწყვეტილება, ხაზგასმით აღინიშნა საზოგადო მოღვაწემ, მძლავრ იმპულსს მიანიჭებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ბირთვულ აფეთქებათა აკრძალვის მხარდასაჭერად გაჩაღებულ კამპანიას. ჰეტერერმა „აუცილებელი და სასარგებლო" უწოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიერ წამოყენებულ კონკრეტულ ღონისძიებებს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ფარგლებში თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

გდრ

ბერლინი. მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლამ საბჭოთა ტელევიზიით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის

● კანადა

„ექსპო-86" გამოფენაზე

ოტავა. სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა ნელ-ნელა მიიწევს მაღლა ვანკუვერის მსოფლიო გამოფენის „ერთა მოედანზე" დადგმულ ფლაგშტოკზე. ყღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. ასე გაიხსნა საზეიმოდ ექსპო-86 გამოფენაზე „სსრ კავშირის ეროვნული დღე".

„სსრ კავშირის ეროვნული დღის" გახსნაზე ჩამოსულმა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრმა ვ. ა. შამშინმა წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვის მისალმება საბჭოთა პავილიონის დამთვალიერებლებისადმი. საზეიმო ცერემონიაზე მოკლე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე „ექსპო-86" გენერალურმა კომისარმა პ. რიდმა, რომელმაც ხაზი გაუსვა საბჭოთა ექსპოზიციის უდიდეს პოპულარობას, აგრეთვე კანადის იუსტიციის მინისტრმა და გენერალურმა პროკურორმა ჯ. კროსბიმ.

● ნიკარაგუა

განიხილავენ კონსტიტუციის პროექტს

მანაგუა. ნიკარაგუის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარემ კარლოს ნუნიესმა ქვეყნის ყველა მშრომელს, მთელ პოლიტიკურ ძალებს მოუწოდა მონაწილეობა მიიღონ ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაში, რომელიც 18 მაისს დაიწყება. ამ დღეს მუშაობას შეუდგებიან „ღია ფორუმები", რომლებზეც თითოეული ნიკარაგუელი შეძლებს გამოთქვას თავისი აზრი რესპუბლიკის ძირითად კანონთან დაკავშირებით.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

აცხადებს მიღებას 1986-87 სასწავლო წლისათვის წარმოების მოწყობით შემდეგ სპეციალობებზე:

სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი: ფერწერა (სამი სპეციალიზაცია); გრაფიკა (ორი სპეციალიზაცია); ქანდაკება.

არქიტექტურისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი: არქიტექტურა (სამი სპეციალიზაცია); ხელოვნების ისტორია და თეორია.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (ოთხი სპეციალიზაცია); ინტერიერი და მოწყობილობა (სამი სპეციალიზაცია); სამრეწველო მოწყობილობის, ტრანსპორტისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაწარმის მხატვრული კონსტრუირება; საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული გაფორმება და მოდელირება (სამი სპეციალიზაცია).

განცხადება მიიღება 1 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით ყოველდღე, კვირის გარდა, 10-დან 1 საათამდე.

გამოცდები ყველა სპეციალობაზე დაიწყება 7 ივლისს.

დაწვრილებითი ცნობები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში".

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 22, ტელეფონი: 99-93-57.

ციფილიზაცია გზაჯვარედინზე

საერთაშორისო მოწოდება ყველა ქვეყნის მთავრობისადმი

ვაშინგტონი. „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამის განხორციელების წინააღმდეგ საერთაშორისო მოწოდებით მიმართა მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და დასავლეთ ევროპის ათი ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა დიდმა ჯგუფმა.

ისინი ყველა ქვეყნის მთავრობას მოუწოდებენ „აქტიურად გაილაშქრონ კოსმოსური იარაღის ან კოსმოსში გამოსაყენებლად სახმელეთო ბაზირების შეიარაღების სისტემების შექმნის ყოველგვარი პროგრამების წინააღმდეგ და უარი თქვან მათს განხორციელებაზე".

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საჭიროა განუხრელად შესრულდეს უკვე ხელმოწერილი შეთანხმებანი განიარაღების დარგში, ნათქვამია აგრეთვე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის სისტემების აკრძალვა.

ცივილიზაცია ამჟამად მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე დგას. თუ კოსმოსური შეიარაღების ეს პროგრამები სრული სიმძლავრით ამუშავდა, უკან დასახევი გზა შესაძლოა აღარც დარჩეს, აღნიშნულია მიმართვაში.

ბორტუგალია

ლისაბონი. მშვიდობისადმი საბჭოთა კავშირის განუხრელი მისწრაფების, თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის დაუღალავი მოღვაწეობის ახალი მკაფიო გამოხატულება უწოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლას საბჭოთა ტელევიზიით პორტუგალიის მშვიდობისა და თანამშრომლობის საბჭოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ანტონიუ პედრუ კარვალიუმ.

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება გააგრძელოს ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი, მ. ს. გორბაჩოვის მზადყოფნა დაუყოვნებლივ შეხვდეს შეერთებული შტატების პრეზიდენტს, აღნიშნა პორტუგალიელმა საზოგადო მოღვაწემ საკდესის კორეს-პონდენტთან საუბარში, ავალდებულებს ამერიკის მხარეს, ბოლოს და ბოლოს, გამოიჩინოს გონიერება და კეთილი ნება, რასაც ვამნგტონისაგან მოითხოვს მთელი კაცობრიობა. დასავლეთ ევროპასა და ყველა სხვა კონტინენტზე მშვიდობის მომხრეთა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, — განაცხადა ანტონიუ პედრუ კარვალიუმ, — გაათორკეცოს ძალისხმევა გამალებული ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლაში, მხარი დაუჭიროს საბჭოთა კავშირის ახალ, განსაკუთრებული მნიშვნელობის სამშვიდობო ინიციატივებს.

● ფილიპინები

სამშვიდობო მანიფესტაცია

◆ დანია

ოცი ათასზე მეტი დანიელი მონაწილეობდა მშვიდობისა და განიარაღებისათვის გრანდიოზულ მანიფესტაციაში (სურათზე), რომელიც კოპენჰაგენში გაიმართა ტრადიციული საგაზაფხულო მშვიდობის მარშის ფარგლებში. მანიფესტაციაში მონაწილეობდნენ დანიის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირების, ახალგაზრდული, ქალთა და ომისაწინააღმდეგო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საკდესის ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ ნიუ-იორკი. ეკონომიკური უთანასწორობა, კოლონიალიზმი, აგრესიები, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევა ხელს უშლის ქალებს აქტიურად ჩაებან ცხოვრების ყველა სფეროში. ეს აღნიშნულია რეზოლუციის პროექტში, რომელიც სოციალისტური ქვეყნების ჯგუფმა შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს აქ მიმდინარე სესიაზე.

◆ ლისაბონი. პორტუგალიის პრეზიდენტი მარიო სოარეზი აქ მიმდინარე ლისაბონის საერთაშორისო ბაზრობაზე ეწვია საბჭოთა პავილიონს. იგი დაწვრილებით გაეცნო მრავალ ექსპონატს და უთხრა საკდესის კორესპონდენტს, რომ ბაზრობაზე წარმოდგენილი საბჭოთა პროდუქცია კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, იგი მოწმობს, რომ სსრ კავშირში იყენებენ მოწინავე ტექნოლოგიას.

◆ ტოკიო. ყოველწლიურად იაპონიის დედაქალაქში თითქმის 300 მცხოვრები იღუპება გარემოს გაჭუჭყიანების შედეგად, იუწყება თავის მოხსენებაში ტოკიოს მუნიციპალიტეტი. მისი მონაცემებით, ტოკიოში ოფიციალურად რეგისტრირებულია სამრეწველო საწარმოთა შხამიანი ნარჩენებით ჰაერის მოწამვლის გამო მძიმედ დაავადებული თითქმის 52 ათასი კაცი, ეს ერთობრივად აღემატება 1977 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში

მიმდინარე წლის 7 მაისს ქალაქ მოსკოვში ამერიკის დაზვერვის მიერ გადაბირებულ საბჭოთა მოქალაქესთან კონსპირაციული შეხვედრის დროს დანაშაულზე წაასწრეს ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს თავდაცვის საკითხთა ატაშეს აპარატის თანამშრომელს ერიკ საიტსს. ჩაიშალა ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალურ მსახურების დიდი ჯაშუშური აქცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

დაკავებისას და გამოძიების დროს მიღებულია სამხმალი მასალები, რომლებიც მთლიანად აშკარავებენ ამერიკის საელჩოს ამ თანამშრომლის სადაზვერვო საქმიანობას, რომელიც, შეუთავსებელია მის ოფიციალურ სტატუსთან.

მართლსაწინააღმდეგო ჯაშუშური მოქმედებისათვის ე. საიტსი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს.

ამერიკის დაზვერვის აგენტის საქმის გამო მიმდინარეობს გამოძიება.

● იუგოსლავია

განაჩენი სამხედრო დანაშაულს

ბელგრადი. ზაგრების საოლქო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა სამხედრო დანაშაულს ა. არტუკოვიჩს, რომელიც იუგოსლავიის წლებში იყო ფაშისტური „ხორვატიის სახელმწიფოს" შინაგან საქმეთა მინისტრი. ამას იუწყება ტანიუგის სააგენტო. სამართლიანად დაისაჯა ნაცისტი ჯალათი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებს აფარებდა თავს.

სასამართლოში წარმოდგენილ საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ მეორე მსოფლიო ომის წლების მანძილზე არტუკოვიჩი პირადად იძლეოდა ბრძანებებს მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივი დახვრეტის, ტყვე პარტიზანთა და იატაკქვეშელთა მოსპობის შესახებ. მორიგი უცილობლად მოწმობენ დოკუმენტები, არტუკოვიჩს პირადად აქვს ხელი მოწერილი ბევრ ბრძანებაზე იუგოსლავიაში საკონცენტრაციო ბანაკების შექმნის შესახებ. მარტო „იასენოვაცის" საკონცენტრაციო ბანაკში უსტაშებმა — ხორვატმა ფაშისტებმა — დახოცეს 700 ათასი კაცი, მათ შორის ქალები და ბავშვები. „ბალკანელი ჰიმლერის" ბრძანებით ჩაღენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ ილაპარაკა პროცესზე მრავალმა მოწმემ.

ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენა იაპონიაში

18 მაისს ტოკიოში იხსნება ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებების ექსპოზიცია.

იაპონელები პირველად როდი ხვდებიან ამ შესანიშნავი ხელოვნის ქმნილებებს. მისი ნამუშევრები უკვე ორჯერ იყო გამოფენილი. ამომავალი მზის ქვეყანაში — 1971 წელს „სსრ კავშირის მუზეუმების 100 შედევრის" გამოფენაზე და ექვსი წლის წინათ მხატვარ-პრიმიტივისტთა ნაწარმოებების საერთაშორისო ექსპოზიციაზე. მაგრამ, ამჯერად იაპონიის სახვითი ხელოვნების მოყვარულები უფრო ფართოდ გაეცნობიან ფიროსმანის შემოქმედებას. ექსპოზიციაში შეტანილია საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდების 50-ზე მეტი ტილო. გამოფენა გაიმართება ტოკიოსა და ოსაკაში.

მხატვრის სიცოცხლის დროს თითქმის უცნობმა ნ. ფიროსმანაშვილის ტილოებმა მომდევნო წლებში მსოფლიო სახელი მოიპოვა. მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო ქვეყნის მრავალ ქალაქში, ხოლო 1959 წლიდან კი რეგულარულად — საზღვარგარეთაც. ფიროსმანის შემოქმედების გაეცნო პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჰოლანდიის, იუგოსლავიის, რუმინეთის, უნგრეთის, საფრანგეთის მრავალი მცხოვრები.

სსრ კავშირში დაბრუნების შემდეგ გამოფენა გაიმართება მოსკოვში — აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში.

(საინფორმაციო).

ბალხის კულტურა — სიმღერაში გაცხადებული

გორში გაიხსნა საგუნდო მუსიკის პირველი საკავშირო ფესტივალი

პროექტორებით გაჩახჩახებულ, ყვავილების კალათებით დამშვენებულ სცენაზე დაირხა დიდებული მელოდიები ქართული ხალხური სიმღერისა „გაფრინდი შავო მერცხალო" და დარბაზში შეკრებილებმა სცენის სიღრმეში თვალი ჰკიდეს საფესტივალო ემბლემას — ცაში მონავარდე მერცხალს, რომლის გამოსახულებაც ამ დღეებში გორის ქუჩებში და მოედნებზე მოფრიალე დროშებსა და ტრანსპარანტებს ამშვენებს. აი ასე მივიდა ქართლის ამ უძველეს ქალაქში საგუნდო მუსიკის ფესტივალი, რომლის ოფიციალური გახსნაც გაიმართა 13 მაისს გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ვ. ასათიანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ბალანჩივაძე, გორის სახალხო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ნამიჩეიშვილი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გ. ყანჩელი და სხვები გულითადად მიესალმნენ ფესტივალის მონაწილეებს, უსურვეს წარმატებები, ახალი შემოქმედებითი მიღწევები.

ფესტივალის პირველ დღეს საინტერესო პროგრამით წარდგნენ მაყურებლის წინაშე მოსკოვისა და ნოვოსიბირსკის სახელმწიფო კამერული გუნდები, მოლდავეთის პროფკავშირთა კულტურის სახლისა და მუსიკალურ-საგუნდო საზოგადოების კამერული გუნდი, თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლის კაპელა „უნისონი" და გორის საშუსიკო სასწავლებლის გოგონათა კამერული გუნდი. ფესტივალის მეორე დღეს მსუბუქი ავტომანქანებისა და ავტობუსების კოლონა ატენის ხეობისაკენ დაიძრა. აქ, ატენის სიონში, კონცერტები გამართეს როსტოვის სამუსიკო პედაგოგიური ინსტიტუტისა და როსტოვის ოლქის საგუნდო საზოგადოებამ.

გორში გაიხსნა საგუნდო მუსიკის პირველი საკავშირო ფესტივალი

ის ოლქის საგუნდო საზოგადოებისა და ტარტუს კამერულმა გუნდებმა.

საღამოთი კი სახელმწიფო თეატრის სცენა დაეთმო მოლდავეთის პროფკავშირთა კულტურის სახლს, ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის, ვლადიმერ-სუზდალის მუზეუმ-ნაკრძალის კამერულ გუნდებს.

ფესტივალის გახსნას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის საკაფოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

...აბულის

...**აბულის** რვაწლიან სკოლაში მიმდინარეობდა გეოგრაფიის გაკვეთილი თემაზე „სამხრეთ კავკასიის სეისმურობა" და ბუნებასაც უეცრად თითქოს ამ თემის „გათვალსაჩინოება" მოესურვა: იმ დღეს 12 მაისს, 13 საათსა და 43 წუთზე მძლავრმა მიწისძვრამ ბიძგებმა შესძრა მიდამო. და როცა შიდბალიანმა დარტყმამ კაპიტალური შენობის კედლებიც შეარყია, პედაგოგმა მარტინ ხოცარნიანმა მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — ბავშვები უნდა გადაიერნინა.

— ბიძგმა თითქოს გადააადგილა ოთახი, — იხსენებს ამ დრამატულ წუთს ს. ხოცარნიანი. — ბავშვები შეძრწუნებული გაირინდნენ. ოცი წყვილი თვალი მომაჩერდა, მივხედი, რომ პანიკა არ უნდა დამეშვა. გავეცი ბრძანება: პირველი მარცხენა რიგი გაიქცეს-მეთქი — იგი უფრო მორს იყო კარისაგან, კარის ღობი კი საკმაოდ ვიწროა...

საკლასო ოთახი უკანასკნელმა მასწავლებელმა დატოვა.

ზანზარებდა და იბზარებოდა ახალი დარტყმებისაგან სკოლის კედლები, ცვიოდა აგურები საკვამურებიდან, მაგრამ მოსწავლეები უკვე სამშვიდობოს იყვნენ.

აბულის სკოლა ახალ, მკვიდრად ნაგებ ქვის შენობაშია მოთავსებული, მან გაუძლო მიწისძვრას. მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, სტიაქიას იმდენად შენობის სიმტკიცე არ გამოუცდია, რამდენადაც ადამიანების მზადყოფნა წინაადგომოდნენ მას. და იმათ, ვისაც ექვსი წლისა და მეტი ხნის ბავშვები ჰყავდათ მიბარებული, უმაღლესი შეფასებით ჩაბარეს ვაკაცობის გამოცდა.

ბოგდანოვკის რაიონის სოფელ თორიას საშუალო სკოლის ერთ-ერთ კლასში კარი ანჯაშებზე ჩამოკიდულა, მაგრამ იგი სტიქიას არ მოუგლეჯია — ეს გაკეთა ჯერაც კოჭლობით მოსიარულე სკოლის დირექტორმა მარკელენ გალოიანმა, რომელიც 13 საათსა და 43 წუთზე ენისა და ლიტერატურის გაკვეთილს ამთავრებდა. საკლასო დაფაზე თითქოს ამ მომენტის სახსოვრად აღბეჭდილია ბავშვური ხელით გამოყვანილი წარწერა „მე წიგნს ვკითხულობ". ვინ ნიფიერებდა, რომ პედაგოგი რამდენიმე წამში თავის სტრეჭონს ჩაწერდა მამაცობის წიგნში.

— პირველივე ბიძგის შემდეგ, ბიძგი კი რამდენიმე იყო, — გვიამბობს მ. გალოიანი, — ჭერიდან ბეთქში ჩამოცვივდა, კედლებზე ნაპრალები გაჩნდა. ბავშვები კარს მისცვივდნენ, იგი კი გაიქედა...

მასწავლებლის გარშემო შეჯგუფული ბავშვები ეფროსისაგან ელოდნენ დახმარებას. დირექტორმა ფეხის დარტყმით გაამტვრია კარი..

...სამხრეთ საქართველოს უბედურება დაატყდა თავს — მოულოდნელი, უეცარი. ჩვენ მოვიყვანეთ ვაკაცობის მაგალითები, როცა შველოდნენ ჩვენს უმთავრეს საუნჯეს — ბავშვებს. საუბედუროდ, ყველას ჭერ უშველეს. მაგრამ როცა სოფელ თორიას მკვიდრ მიკერტიჩიანთა სახლში უაზროდ შეწყდა სამი წლის გოგონას სიცოცხლე, ოჯახი მარტო არ დარჩენილა. მისი მეუხარება გაიზიარეს არა მარტო თანასოფლელებმა, არამედ მეორე დღეს დილით მიწისძვრის ზონაში ჩასულმა რესპუბლიკის ხელმძღვანელებმაც. მათ მიუსაძღვრეს კოჩკანიანთა ოჯახსაც ახალქალაქის რაიონის სოფელ კუმურდოში, რომელმაც ოთხი შვილის დედა— რიმა ვარდგესის ასული დაკარგა.

შვიდბალიანი მიწის ქვეშ „შტორმის" ამბავი მთელმა ქვეყანამ შეიტყო. ბოგდანოვკასა და ახალქალაქში იმ ღამეს რეკავდნენ მოსკოვიდან და თბილისიდან, კიევიდან და ერევნიდან, ბაკოდან და სვერდლოვსკიდან... აღელვებულ ხალხს ამომწურავ ინფორმაციას აწვდიდნენ. მიწისძვრის პირველივე საათების შემდეგ პარტიის რაიკომები, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არა მარტო ზუსტად გაერკვნენ ვითარებაში, არამედ იქტიურადაც ამოქმედდნენ, დაეხმარნენ დაზარალებულთ. სოფლებში გაგზავნეს მანქანები სურსათით და მედიკამენტებით, მუდმივი მორიგეობა დაწესა რეგიონის სამედიცინო პერსონალმა.

ვაჟკაცობის ზვიდი ბალი

რეპორტაჟი

მყისვე გაუწოდეს დახმარების ხელი რეგიონის ბინადართ მესაზღვრეებმაც.

— ამ ჩვენს გასაჭირს მთელი რესპუბლიკა იზიარებს, — თქვა პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქოჩოიანმა. — ჯერ ზარალიც არ გვქონდა განსაზღვრული, როცა თბილისიდან მივიღეთ ცნობა: მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისათვის შეიქმნა მთავრობის კომისია.

— მე კომისიის წევრი არა ვარ — გვეუბნება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი გურამ ქაშაკაშელი, რომელსაც ჩვენ ბოგდანოვკაში შევხვედით. — მაგრამ ეს ამბავი როცა გავიგეთ, მივხვდით, რომ ჩვენი დახმარებაც არ იქნებოდა ზედმეტი. აქ გამოვგზავნეთ სპეციალისტებს, არმატურას, მილებს, საშენ მასალას.

საბჭოთა ადამიანებს გასაჭირი ადუღაბებს. როცა უბედურება მოხდება, ჩვენს სულსა და გულში თანაგრძნობა, დახმარების სურვილი ისადგურებს. ასე ხდება ამ დღეებში ჩერნობილში, იგივეს ვხედავთ სამცხე-ჯავახეთის მიწისძვრაზეც.

გულახდილად უნდა ითქვას: ზარალი ძალიან დიდია და მიწისქვეშა ბიძგებიც, თუმცა ნაკლები ძალისა, გრძელდება. სპეციალისტები ჯერჯერობით ბის ფინანსურ და სამეურნეო მასშტაბს ადგენენ. მაგრამ უკვე ბევრი რამ არის ცხადი. მარტო ახალქალაქის რაიონში სერიოზულად დაზიანდა ოცი სკოლა, რვა მეცხოველეობის ფერმა. ზოგიერთ სოფელში მთლიანად დაინგრა საცხოვრებელი სახლები.

ბოგდანოვკის რაიონში დაზიანდა 1500 სახლი, სკოლა, მთლიანად დაინგრა ზოგიერთი ფარეხი.

სოფელ აბულში უსახლკაროდ დარჩა ორმოცზე მეტი ოჯახი. ისინი ახლობლებმა, მეზობლებმა შეიფარეს. მაგრამ ეს კეთილშობილური ღონისძიება იძულებული და დროებითია. რაიონის ხელისუფალთ ამის თაობაზე საკუთარი მოსაზრება აქვთ. კერძოდ, გთავაზობენ ადამიანების ერთ-ერთ საცხოვრებლებში დაბინავებას. მაგრამ სოფლის მცხოვრებთათვის ეს გამოსავალი არ არის: მათ ხომ უპატრონოდ დარჩებათ შინაური პირუტყვი, საკარმიდამო მეურნეობა.

— ახლა ძალიან გამოგვადგებოდა ვაგონები, რომლებსაც მშენებლები იყენებენ, — ამბობს ადგილობრივი კავშირგაბმულობის მუშაკი რაფაელ კარაკირკიზიანი. იხვალიდობის მიუხედავად იგი იმათ შორის იყო, ვინც არ შედრკა განსაცდელის ჟამს. ამ ჭაბუკმა ავღანეთში გაიარა ვაკაცობის სკოლა.

მართლაც, ასეთი დროებითი საცხოვრებელი დღეს საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა მდგომარეობიდან: ძნელი არ უნდა იყოს სოფელში ვაგონების მოტანა. ასეთი შესაძლებლობა კი რეგიონში, სადაც გაშლილია დიდი მშენებლობა, მათ შორის მარაბდა-ახალქალაქის მაგისტრალისა, არის.

ჩვენ მტკიცედ ვბრძოლობთ აბულებს: არ მივატოვებთ გასაჭირში, ყოველნაირად დავეხმარებით, — დაგვიამედა პარტიის ახალქალაქის რაიკომის მეორე მდივანმა ედუარდ შესხიძემ.

... უბედურება სხვისი არ არის ხოლმე. ჩვენი ცხოვრების ამ ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ საქინფორმის კორესპონდენტები, რომლებიც ხელს აწერენ ამ რეპორტაჟს.

შ. ალექსანდრია,
ი. გოგელაშვილი.

მიწისძვრა აზერბაიჯანში, საქართველოში

ბაქო, 14 მაისი. (**საკდესის კორ.**). დღეს 10 საათსა და 25 წუთზე „ოსკოვის" დროით აზერბაიჯანში მიწისძვრა მოხდა. მიწისქვეშა ბიძგის ძალა ეპიცენტრში, რომელიც ქალაქ მინგეჩაურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ათ კილომეტრზე იყო, 5-5,5 बალი აღინიშნა, ქალაქებში მინგეჩაურსა და ევლახში — 5, ბარდასა და აგდაშში — 4 ბალი. მსუბუქად დაზიანდა რამდენიმე ძველი შენობა. მიწისძვრას მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია.

15 მაისს თბილისში, 13 საათსა და 27 წუთზე ადგილობრივი დროით კვლავ აღინიშნა დაახლოებით სამი ბალი ძალის მიწისძვრა. მიწისძვრის ეპიცენტრი იყო 85 კილომეტრზე რესპუბლიკის დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთით ჯავახეთის ზეგანზე. აქ მიწისქვეშა ბიძგის ძალამ შეადგინა დაახლოებით 5 ბალი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონალური სეისმოლოგიის განყოფილების გამგემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ოთარ გოცაძემ. ქალაქ ახალქალაქისა და რაიონული ცენტრის ბოგდანოვკის მცხოვრებლებმა იგრძნეს დაახლოებით 4 ბალი ძალის მიწისქვეშა ბიძგი. მიწისძვრას არ დაუზიანებია შენობები და ნაგებობანი.

მიწისქვეშა სტიქიამ თავი იჩინა სომხეთშიც. მაგალითად, სტეფანავანში იგრძნობოდა დაახლოებით სამი ბალი ძალის მიწისძვრა.

(საქინფორმი).

რედაქტორი
გ. ბედიანიშვილი.

რესპუბლიკის იმ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ მესამე თანრიგის სანიმუშო და მუშა დიხაძმოტრები 1000-50000 ნიუტონის დატვირთვით, შეუძლიათ წარადგინონ ისინი სახელმწიფო შემოწმებისათვის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო. მისამართი: თბილისი, ჩარგალის ქ. № 67. ტელეფონი: 66-24-90.

სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო.

ბაბანი

მზიდვების ბოლო დღეები

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მესამე ეტაპი ვამზადებს წინ - მოსკოვის - მანილაში. ნოვოგორსკში ვართ ეშმაკად 24 ფეხბურთელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ს. გოცმანოვი ავად გახდა და შინ გაეგზავნა. ნოვოგორსკში მყოფ ფეხბურთელთაგან ა. ჩივადეს მსუბუქი ტრამვა აქვს. ხოლო ფ. ჩერეპოვი ჯერჯერობით ვერ ვარჯიშობს დაშავებული ფეხის გამო. სხვა ფეხბურთელთაგან ნაკრებში არიან **მეკარეები** რ. დასაევი, ვ. ჩანეი და ს. კრაკოვსკი, **მცველები** — ნ. ლარიონოვი, ო. კუზნეცოვი, ა. ბალი, ა. დემიანენკო, გ. მოროზოვი და ა. ბუბნოვი, **შუა და წინა ხაზების მოთამაშენი** — ვ. ბესონოვი, ი. იარემჩუკი, ვ. რაცი, ჰ. იაკოვენკო, ს. ალეინიკოვი. გ. ლიტოვჩენკო, ო. პროტასოვი, ვ. ევტუშენკო, ი. ბელანოვი, ა. ზავაროვი, ო. ბლოხინი და ს. როდიონოვი. ვინ მოხვდება 22 რჩეულში, საბოლოოდ 19 მაისს დადგინდება. 21 მაისს კი ჩვენი ფეხბურთელები მექსიკაში ჩაემგზავრებიან.